PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ამწის ოპერირება IV“ დამატების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფისწევრები
თავმჯდომარე: **ფრიდონ გოგიაშვილი**
წევრი: **ირმა ღარიბაშვილი**
წევრი: **ნია გუგუნავა**

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/
ნ. გუგუნავა /ნუგუნავა/

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სასწავლო **სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი[redacted]

სახე:

☑ **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება**

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ნუგუნავა/

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის საზღვაო აკადემიის მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში ცენტრი) 2021 წლის 27 თებერვალს წარმოდგენილ იქნა განაცხადი ქ. ფოთში (წმინდა გიორგის №24) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ (ცენტრში რეგისტრაციის №171814) და საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრული საფასურის გადახდის ქვითარი. ცენტრის მიერ განაცხადში არსებული ხარვეზების აღმოფხრის შემდეგ, 2021 წლის 12 მარტს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ცენტრს მიაწოდა გასწორებული კორესპოდენცია (ცენტრში რეგისტრაციის №223179)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ამწის ოპერირებ IV-ის“ (მეოთხე დონე) ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრის დირექტორის 2021 წლის 19 მარტის №258021 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ფრიდონ გოგიაშვილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, თავმჯდომარე;
2. ირმა ღარიბაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი)
3. ნია გუგუნავა - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის მონაწილეობა დისტანციურად საქმის წარმოებაში მნიშვნელოვანია. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების შემთხვევაში, არ უნდა იქმნებოდეს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ უნდა იწვევდეს დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევას.

ექსპერტთა მიერ განხორციელდა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს სრულად მიეწოდა დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის პირველადი განხილვის

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. გუგუნავა /ნია გუგუნავა/

PDF Eraser Free

შემდეგ საჭიროდ გახდა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან დამატებით დოკუმენტების გამოთხოვა, რაც ეცნობა ცენტრს. დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია ექსპერთა ჯგუფს მიეწოდა შესაბამისი პროცედურების დაცვით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგა დისტანციურ ადმინისტრაციულ წარმოებაზე მორგებული დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და დაწესებულებასთან შეთანხმებით, შესაბამისი ტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით მოხდა გასაუბრებების და მატერიალური ბაზის დათვალიერება 2021 წლის 9 აპრილს.

ვიზიტის განხორციელების პირველ ეტაპზე გასაუბრება განხორციელდა სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტ-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისა და სსიპ სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის - „ფოთის საზღვაო სასწავლო - საწვრთნელი ცენტრის“ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და მოდულების განმახორვიელებელ პირებთან, ბიბლიოთეკართან, უსაფრთხოების მენეჯერთან. გასაუბრების პროცესში მათ უპასუხეს იმ შეკითხვებს, რომლებიც ექსპერთა ჯგუფის წევრებს გაუჩნდათ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის პირველადი შესწავლის დროს. გასაუბრება განხორციელდა ასევე პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელთან.

დისტანციურად განხორციელდა ძირითადი სასწავლო-მატერიალური ბაზის დათვალიერება. დაზუსტდა გარკვეული საკითხები, რომლებიც დოკუმენტაციის პირველადი განხილვის შემდეგ საჭიროებდა გადამოწმებას.

ვიზიტის სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯამებულ იქნა ჩატარებული სამუშაოს შედეგები. დასკვნით შეხვედრაზე ექსპერტთა ჯგუფმა სსიპ სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის და ფოთის ფილიალის წარმომადგენლებს გააცნო ის ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები, რომელიც აისახა დასკვნაში.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დასრულდა 2021 წლის 9 აპრილს.

ვიზიტის დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ იქნა დასკვნის პროექტი სადაც შეჯამებული იქნა გამოვლენილი ხარვეზები და გაცემულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები. შედგენილ იქნა პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი სადაც დაფიქსირდა შეუსაბამობა ზემოთ აღნიშნულ სტანდარტთან.

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუგუნავა/

PDF Eraser Free

2021 წლის 14 მაისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი- ბათუმის საზღვაო აკადემიის მიერ წარდგენილ იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და არგუმენტირებული პოზიციის მტკიცებულებები ექსპერტთა მიერ შედგენილ დასკვნის პროექტზე.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც ჩამოყალიბებულია ის შეუსაბამობები, რომელიც დაფიქსირდა ვიზიტის პერიოდში, კერძოდ:

1-ლი სტანდარტი, ინდიკატორი 1.2.1 (1):

- ბათუმის საზღვაო აკადემიას ცალკე დოკუმენტად შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების განვითარების 2020-2024 წლის სტრატეგიული გეგმა. მიზანშეწონილია აღნიშნული გეგმის ვადა შესაბამისობაში მოვიდეს პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან.

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.2.1 (1):

- A და B სასწავლო გარემოში, პროფესიული სტუდენტის და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განკუთვნილი მაგიდების და სკამების რაოდენობა, მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის (30 ადგილი) გათვალისწინებით არასრულია პროგრამის განხორციელებისათვის. აღნიშნული საკითხი იკვეთება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამატებით გამოგზავნილ ფოტომასალაში. დაწესებულებას არ წარმოუდგენია შესაბამისი ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტებს შორის დაწესებულებამ წარმოადგინა სააგენტოს 2021 წლის 2 აპრილის №319453 წერილი, რომლის მიხედვითაც სააგენტო „სრულად უზრუნველყოფს დაწესებულების მოთხოვნის დაკმაყოფილებას“ სასკოლო მერხებისა და სკამების შესყიდვის თაობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, მოცემული გარემოება ექსპერტთა მხრიდან ფასდება როგორც ხარვეზი.

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორები 2.4.2 (1, 2):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ გამოკვეთილია ვალიდაციისა და ვერიფიკაციის როგორც ტერმინებისა და ტერმინების ქვეშ მოაზრებული პროცესების თანაკვეთა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა. მოცემული გარემოება ექსპერტთა მხრიდან ფასდება როგორც ხარვეზი.

მე-4 სტანდარტი, ინდიკატორი 4.1.1 (3):

- ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის არსებობა პროგრამის შემუშავებისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შემადგენლობაში, ეწინააღმდეგება ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის 4.1.1 (3) ინდიკატორის მოთხოვნას (პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს). შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა. აღნიშნული გარემოების გამო, ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი ფასდება როგორც ხარვეზი.

(იხ დანართი 2) გეგმაში გაწერილი არის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები კონკრეტული თარიღების ჩვენებით, ასევე პუნქტობრივად არის გაწერილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონიძიებები, შემსრულებლები და პასუხისმგებელი პირები. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა , რომელიც წარმოდგენილია აგრუმენტირებულ პოზიციასთან ერთად აუმჯობესებს აღნიშნული ინდიკატორების შეფასებას.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებში პროფესიული განათლების სისტემაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენება : <u>არ არის შესრულებული</u>
- შეფასების სისტემაში დაუძლეველი მოდულების რაოდენობის, როგორც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის, დაზუსტება: <u>არ არის შესრულებული.</u>
- პროფესიული განათლების მასწავლებლის და მოწვეული მასწავლებლის გამიჯვნა და მის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მკაფიოდ ჩამოყალიბება: <u>არ არის შესრულებული.</u>

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

VII.რეკომენდაციების შეჯამება

<u>**შესაბამისობის რეკომენდაცია**</u>

1. ბათუმის საზღვაო აკადემიას ცალკე დოკუმენტად შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების განვითარების 2020-2024 წლის სტრატეგიული გეგმა. მიზანშეწონილია აღნიშნული გეგმის ვადა შესაბამისობაში მოვიდეს პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან;
2. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ გამოკვეთილია ვალიდაციისა და ვერიფიკაციის როგორც ტერმინების, ასევე ტერმინების ქვეშ მოაზრებული პროცესების თანაკვეთა. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ვალიდაციისა და ვერიფიკაციის იმგვარი მექანიზმის შემუშავების შესახებ, რომელიც მკაფიოდ ასახავს პროცესებს, პასუხისმგებელ პირებს, განმახორციელებლებს და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის პრინციპებს.

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

3. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო A, B და C გარემო სრული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით სწავლის დაწყებამდე;
4. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გადაიხედოს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესი“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რათა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის შემცველი მიდგომების არსებობა.

<u>გაუმჯობესების რეკომენდაციები</u>

1. სასურველია, საგანმანათლებლო დაწესებულების რეგულაციებში დაკონკრეტდეს პროფესიული განათლების ცენტრსა და ფოთის ფილიალს შორის ურთიერთობები. ასევე, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობა კოორდინირებულად წარმოებდეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
2. სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ეფექტური მექანიზმები, რომელიც გამორიცხავს მარეგულირებელ დოკუმენტაციაში არსებული ტექნიკური ხასიათის უზუსტობებს;
3. რეკომენდირებულია პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების შეფასების გაცნობის და უკუკავშირის მიწოდების შესახებ ინფორმაცია ასახულ იქნას შესაბამის რეგულაციაში.
4. პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმეში გაიწეროს შრომის დაცვისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკითხებზე კომპანიის და საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებები;
5. დაწესებულებამ შესაბამის რეგულაციაში კონსოლიდირებულად ჩამოაყალიბოს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები.

შენიშვნა:

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

-დაწესებულების მიერ წარმოდგენილ <u>განაცხადის დოკუმენტში არასწორად არის მითითებული კრედიტების რაოდენობა</u> შემდეგ პუნქტებში: - „კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის“, „კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის“.

-დაწესებულების განაცხადში მითითებული პროგრამის დასახელებაა „ამწის ოპერირება“, ხოლო სენატის მიერ დამტკიცებული პროგრამის დასახელებაა „ამწის ოპერირება IV“.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	**ამწის ოპერირება IV**
პროფესიული განათლების დონე	**მეოთხე**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში / Secondary Vocational Qualification in Crane Operation**

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სენატის გადაწყვეტილება №2/5, 09.02.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალი-„ფოთის საზღვაო სასწავლო- საწვრთნელი ცენტრი“, ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ. №24
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ. №24. მოდულური.(იხ.ქვემოთ)
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს(არსებობის შემთხვევაში).	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**106**

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება პროგრამისთვის „ამწის ოპერირება“(მეოთხე დონე)

სტანდარტი/კომპონენტი	**შეესაბამება**	**მეტწილად შეესაბამება**	**ნაწილობრივ შეესაბამება**	**არ შეესაბამება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☑	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**<u>სრული 3</u>**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება	**<u>სრული 3</u>**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	**მეტწილი 2**	ნაწილობრივი 1	

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ნუგუნავა/

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო აკადემიის მისიაში მითითებულია რომ კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება გათვალისწინებულია თანამედროვე სტანდარტების პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე. შესაბამისად ბათუმის საზღვაო აკადემიის მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ გეგმაში რომელიც 2018-2024 წლებს მოიცავს და რომელიც დამტკიცებულია სენატის 2020 წლის 29 ივლისის #13/1 გადაწყვეტილებით, ჩაწერილი არის პუნქტები, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული განათლების განვითარებას არამარტო ათუმში არამედ ფოთის ფილიალშიდაც.

კერძოდ, სტატეგიული განვითარების გეგმაში (პუნქტი 6.7) მოცემული არის მიზნები პროფესიული განათლების განვითარებასთან დაკავშირებით. პროფესიული განათლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სტრატეგიული გეგმის მიმართულებით მომუშავე ჯგუფის მიერ შემუშავებულია პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული (2020-2024) 5 წლიანი გეგმა, რომლის 1-ლ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს „პროფესიული განათლების უზრუნველყოფა შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებით“. დოკუმენტის მე-3 ამოცანად განსაზღვრულია - ”ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დანერგვა, განხორციელება და შემდგომი განვითარება“. დაწესებულების წარმომადგენელმა გასაუბრების დროს ექსპერტებს განუცხადა, რომ 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცებიდან 2 წლის შემდეგ მოხდა პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმის გამიჯვნა, რის გამოც ამ უკანასკნელის ხანგრძლივობა განისაზღვრა დარჩენილი 5 წლის ვადით. პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული (2020-2024) გეგმა ცალკე დოკუმენტად არის დამტკიცებული, არ შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1--ლი სტანდარტის 1.2.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნას - შვიდწლიანი ციკლური განვითარების გეგმის არსებობის შესახებ. აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული (2020-2024) გეგმა მოარგოს ხსენებული სტანდარტის მოთხოვნებს.

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

დაწესებულების შეფასებით, პროგრამის IV დონის კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება განაპირობა ამწის ოპერირების პროცესის ზედამხედველობითი უნარების მქონე სპეციალისტებზე მოთხოვნების შექმნილმა აუცილებლობამ. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას ადასტურებს დასაქმების შესაძლო ადგილების ახლომდებარეობა, კერძოდ: საქართველოს საზღვაო ნავსადგურები - ბათუმი, ფოთი, ყულევი, ანაკლია, საამშენებლო კომპანიები. აღნიშნული კვალიფიკაციის სპეციალისტების საშუალო ხელფასი გაიზარდა 1000-1500 ლარამდე. ასევე, მნიშვნელოვანია შემდეგი პირობები:

- სწავლება საზღვაო აკადემიაში უფასოა.
- სასწავლო პროცესს წარმართავენ დარგის გამოცდილი სპეციალისტი.
- საზღვაო აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც ემსახურება პროგრამას, აღჭურვილია მილენიუმის საგრანტო პროექტის ფარგლებში განახლებული ტექნიკური აღჭურვილობით.
- მოთხოვნები სპეციალისტებზე დადასტურდა დამსაქმებელთა ფორუმებზე გამართული დისკუსიებით, რომელთა ორგანიზატორი იყო ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების) საფუძველზე შექმნილ „შედუღების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურადაა გაწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

- „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.
- ასაკი არანაკლებ 17 წელი.
- სრული ზოგადი განათლება.

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ნუგუნავა/

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი“ (სენატის გადაწყვეტილება №13/12, 27.11.2018წ). პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობა, სასწავლო გარემო, შესაბამისი აღჭურვილობა, სწავლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტები და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა.

პროგრამის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და დაწესებულების რესურსებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ამწის ოპერირება“ გაწერილია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას საფუძვლად უდევს პროგრამის განხორციელებისთვის გამოყენებული B და C სასწავლო გარემოს პროფესიულ სტუდენტთა გამტარიანობის შესაძლებლობები. კერძოდ, პროგრამის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთების მიხედვით სასწავლო მოდულები - „ტვირთსატაცი აღჭურვილობის უსაფრთხო ექსპლუატაცია“, „ამწის ექსპლუატაციის მოსამზადებელი სამუშაოები“, „ტვირთამწევი მექანიზმები და ტვირთის გადატანა“, „კომუნიკაციის მეთოდები სატვირთო ოპერაციებში“, „ამწის ტექნიკური მომსახურება, მიმდინარე და დაგეგმილი დათვალიერება“ მთლიანად ხორციელდება **C** სასწავლო გარემოში (აუდიტორია 212). 4 კრედიტის მოცულობის მოდულის გავლა სასწავლო გეგმით განაწილებულია 32 კვირაზე და კვირაში 5 შეხვედრას გულისხმობს, ორი სასწავლო ჯგუფის შემთხვევაში (30 სტუდენტი) ეს 10 შეხვედრის ტოლია. კლასის გამტარუნარიანობა 15 პროფესიულ სტუდენტს არ აღემატება.

- პროგრამის რამდენიმე მოდულის პრაქტიკული კომპონენტები ხორციელდება როგორც C სასწავლო გარემოში, ისე პარტნიორ კომპანიებში. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა საწარმოო პრაქტიკას არ მოიცავს.

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუგუნავა/

PDF Eraser Free

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ამწის ოპერირების მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულების მიერ განისაზღვრა - 30 პროფესიული სტუდენტით. პროგრამის განხორციელებისთვის მითითებულ აუდიტორიებში გათვალისწინებულია 15 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ პროგრამაზე მიღება გამოცხადდება ორ ეტაპად. ერთ მიღებაზე დაგეგმილია 15 პროფესიული სტუდენტის მიღება ერთ ჯგუფად. პროგრამის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მომდევნო მიღებისთვის წინა მიღების ჯგუფი პროგრამის დასრულების ეტაპზე იქნება და სასწავლო გარემო იქნება გამტარუნარიანი. დოკუმენტი ეყრდნობა „პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესში“ გაწერილ კრიტერიუმებს.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ამწის ოპერირება“ (მეოთხე დონე) გათვალისწინებული მატერიალური და სასწავლო რესურსი თანხვედრაშია ჩარჩო დოკუმენტით რეკომენდირებულ ჩამონათვალთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამა „ამწის ოპერირება IV“ არ მოიცავს არჩევითი მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის მიერ. გადაწყვეტილება №.2/5, 2021 წ.

7.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის <u>“ამწის ოპერირება IV“</u> სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი, არ უჩენს დაინტერესებულ პირებს არასწორ მოლოდინს სწავლის შედეგენთან და სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით. **ექსპერტთა**

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს.

8.საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ამწის ოპერირება“ (მესამე დონე) შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებას, მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, მისაღწევი სწავლის შედეგებს, მოცულობას, ხანგრძლივობას, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას, კვალიფიკაციას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ზოგად მოდულებს, პროფესიულ მოდულებს, ინტეგრირებულ მოდულებს და სასწავლო გეგმებს. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები (A2 – 15 კრედიტი, B1 – 15 კრედიტი). მოდულების, ქართული ენა A2 და B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ამწის ოპერირება IV“. გადაწყვეტილება №.2/5, 2021 წ.
- საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ გვერდი.
- ვიზუალური დათვალიერება.
- ინტერვიურება.
- სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წერილი №19453 (2021 წლის 02 აპრილი).
- „პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი“ , სენატის გადაწყვეტილება №13/12, (27.11.2018წ).
- სასწავლო გეგმა.

შეფასება:

☑ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო დაწესებულებამ მე-4 დანართის სახით წარმოადგინა დოკუმენტი „ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ (გარდა მასალებისა და ნედლეულისა)“. აღნიშნული დოკუმენტი შედარდა პროფესიული განათლების სტანდარტში განსაზღვრულ მინიმალური მატერიალური რესურსის ჩამონათვალს. ვიზიტის პერიოდში საგანამანთლებლო დაწესებულებამ გადმოაგზავნა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და დაწესებულების რესურსებს „ამწის ოპერირება III-IV“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილი ინფორმაცია A და B გარემოსთვის აუდიტორიების შესახებ განსხვდება პროგრამის დანართ 2-ში მოცემული ინფორმაციისგან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საგანმანათლებლო დაწესებულებას ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის აუდიტორიებიდან A გარემოსთვის გამოყოფილია შემდეგი აუდიტორიები:

- აუდიტორია 213– 15 სულ (30 ორ ცვლაში) პროფესიული სტუდენტი.
- აუდიტორია 107– 15 სულ (30 ორ ცვლაში) პროფესიული სტუდენტი.

B სასწავლო გარემოსთვის გამოყოფილია - 106 აუდიტორია.
C სასწავლო გარემოსთვის გამოყოფილია - 212 აუდიტორია.

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/
ნ. ბუბუნავა /ბუგუნავა/

PDF Eraser Free

სასწავლო გარემოში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ვიზუალური შემოწმდებისას, დადგინდა შემდეგი პირობები:

- A გარემო, აუდიტორია 107 - განთავსებულია 9 მაგიდა და 9 სკამი პროფესიული სტუდენტისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ დაფა, კომპიუტერი და პრინტერი განთავსდება სწავლის დაწყების წინ. <u>დაწესებულების მიერ გადმოგზავნილია სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ 2021 წლის 02 აპრილს მიწერილი წერილი (№19453). წერილის თანახმად, სააგენტო ხელშეკრულების ფარგლებში სრულად დააკმაყოფილებს სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის „ფოთის საზღვაო სასწავლო - საწვრთნელი ცენტრის“ მოთხოვნას მაგიდებითა და სკამებით. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ მოთხოვნილი აქვთ 400 ცალი მაგიდა და სკამი. აღნიშნული რესურსი დაწესებულებას ექნება მიმდინარე წლის ივლისის თვეში და სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილ იქნება სრული აღჭურვილობთ.</u>

- <u>A გარემო,</u> აუდიტორია 213 (ფართობი 35 კვ.მ.) – ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ ჯერ არ არის განლაგებული პროფესიული სტუდენტისთვის მაგიდები და სკამები. სასწავლო გარემო იყო ცარიელი გარემონტებული სახით. დაწესებულების მიერ ვიზიტის ბოლოს გადმოგზავნილი სურათებიდან ჩანს, რომ აღნიშნული პრობლემა ნაწილობრივ აღმოფხვრილია და სასწავლო გარემოში განლაგებულია 9 მაგიდა და 9 სკამი პროფესიული სტუდენტისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავდებულია -მაგიდა, სკამი, პროექტორი, კომპიუტერი და დაფა. ვინაიდან ერთ სასწავლო ჯგუფში მაქსიმუმ 15 პროფესიული სტუდენტია გათვალისწინებული და 15 მაგიდა და 15 სკამი არ ფიქსირდება სასწავლო გარემოში.

- <u>B გარემო,</u> 106 აუდიტორია - ინგლისური ენისა და კომპიუტერული კლასი. განლაგებულია 12 მაგიდა და 12 სკამი პროფესიული სტუდენტისთვის. თვითოეულ მაგიდასთან კომპიუტერების სრული კომპლექტია განთავსებული ყუთებით. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავდებულია - მაგიდა, სკამი, პროექტორი, კომპიუტერი

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

და ეკრანი. ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომპიუტერების სრული კომპლექტი შეძენილია 15 სტუდენტისთვის. პროფესიული სტუდენტის მაგიდების დამატების შემდგომ, განათავსებენ კომპიუტერებს შესაბამის ადგილებზე.

- <u>C გარემო,</u> 212 აუდიტორია (ფართობი - 51 კვ.მ.) - განთავსებულია სიმულატორი. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილია სიმულატორის ფლობის დოკუმენტები. ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარემოში განლაგდება მაგიდები და სკამები პროფესიული სტუდენტებისთვის.

<u>აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ **არ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა,** სადაც ასახული იქნებოდა A, B და C სასწავლო გარემოს მერხებითა და სკამებით უზრუნველყოფის საკითხი ზღვრული რაოდენობის (30 ადგილი) მიხედვით. **მიმდინარე ეტაპზე აღნიშნული საკითხი არ შეესაბამება სტანდარტს და ფასდება როგორც ხარვეზი.**</u>

სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის „ფოთის საზღვაო სასწავლო - საწვრთნელი ცენტრის“ C გარემოში განთავსებულია ამწის სიმულატორი. აღნიშნული სიმულატორი განკუთვნილია 6 ტიპის ამწე-მანქანის სახეობის მართვისა და სხვა აქტივობების შესასწავლად, კერძოდ:

- სანავსადგურე მობილური ამწე (MHS),
- ნავმისადგომი ტიპის ამწე (STS),
- პნევმოთვლიანი ჯოჯგინა ამწე (RTG),
- საკონტეინერო ავტომტვირთველი,
- ჩანგლიანი ავტომტვირთველი,
- ექსკავატორი.

სიმულატორით შესაძლებელია სხვადასხვა გარემო პირობების შექმნა და სხვადასხვა რეჟიმის დაყენება.

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას. თუმცა, საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს, რომ პროფესიული სტუდენტები გაიყვანოს რეალურ სამუშაო სივრცეში. პროგრამის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთებაში გაწერილია, რომ პროგრამის რამდენიმე მოდული ხორციელდება C სასწავლო გარემოში და პარტნიორ კომპანიებში. აღნიშნული მოდულებია: - „ტვირთსატაცი აღჭურვილობის უსაფრთხო ექსპლუატაცია“, „ამწის ექსპლუატაციის მოსამზადებელი სამუშაოები“, „ტვირთამწევი მექანიზმები და ტვირთის გადატანა“, „კომუნიკაციის მეთოდები სატვირთო ოპერაციებში“, „ამწის ტექნიკური მომსახურება, მიმდინარე და დაგეგმილი დათვალიერება“. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული პარტნიორ კომპანიებთან/ორგანიზაციებთან, რათა მოახდინონ პროფესიულ სტუდენტთა გაყვანა მათ ბაზაზე და გააცნონ რეალურ ამწესთან უსაფრთხოდ მუშაობის პირობები და უშუალოდ მართონ ამწე ზედამხედველობის ქვეშ. განამტკიცონ პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევები. აღნიშნული აქტივობა გათვალისწინებულ იქნება პროფესიული სტუდენტის შედეგების შეფასებაზე. პროფესიული მასწავლებელი გააკონტროლებს და დააკვირდება პროფესიულ სტუდენტს მიერ განხორციელებულ აქტივობებს კომპანიაში.

საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ პარტნიორ კომპანიებთან/ორგანიზაციებთან:

- შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“.
- შპს „ლოჯიტექსი“.
- შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია“.

ვიზიტისას ინტერვიურება განხორციელდა პარტნიორი ორგანიზაციის შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“ წარმომადგენელთან. საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაში არსებული სიმულაციური დანადგარი სწორედ აღნიშნულმა კომპანიამ გადასცა საჩუქრად. წარმოდგენილია წერილი №021. (26.01.2021 წ.) ერთი ერთეული სიმულატორის შეძენასა და საჩუქრად გადაცემის შესახებ. კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მზაობა აქვთ ხელი შეუწყონ დარგის განვითარებას, პროფესიული სტუდენტების კონკურენტუნარიან სპეციალისტებად აღზრდას. ისინი პროფესიულ სტუდენტებს გამოუყოფენ ინსტრუქტორს, რომელიც შესაძლოა იყოს მემანქანე ან კომპანიის ტრენერი. მათ აქვთ მოკლე

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ნუგუნავა/

PDF Eraser Free

პერიოდიანი გადასამზადებელი კურსები და ყავთ მაღალკვალიფიციური ტრენერები. მათ გააჩნიათ დიდი სოციალური პასუხისმგებლობა და დიდ ინვესტიციებს დებენ ხარისხიანი სწავლის მიღებაზე. შესაძლოა დიდი ბიზნეს სარგებელი ვერ მიიღონ, მაგრამ მათთვის მთავარია დარგის გამოცოცხლება. მათ სტაჟიორებად აყავთ კურსდამთავრებულები, პირველი ქალი მეამწე მათთან გადიოდა სტაჟირებას. მზად არიან დაასაქმონ წარმატებული კურსდამთავრებული.

<u>პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;</u>

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 6. მათ შორის 3 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი იქნა პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტებით მათ უდასტურდებათ დარგის შესაბამისი კომპეტენცია. აღსანიშნავია, რომ პროგრამა შემუშავებულია მილენიუმის პროგრამის ფარგლებში და შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლები. მათი მონაწილეობით შემუშავდა პროფესიული სტანდარტი აღნიშნული მიმართულებით. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ მოდულების განმახორციელებელ პირებს გააჩნია მოდულური პროგრამების სწავლების გამოცდილება. ისინი გადამზადებულნი არიან როგორც მასწავლებელთა ცენტრის მიერ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (GIZ, მილენიუმის პროგრამის ფარგლებში). სიმულატორის მონტაჟის ტექნიკურმა ჯგუფმა გადაამზადა პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები.

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით,პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის გადაწყვეტილებით (№2/5, 09.02.2021) დამტკიცდა პროფესიული პროგრამები და პროგრამის ხელმძღვანელები. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების“ დოკუმენტის მე-7 მუხლში (პროგრამის შემუშავების პროცედურა) გაწერილია, რომ პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი ჯგუფი განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელს. <u>დოკუმენტის მე-7, მე-4, მე-5 მუხლებში გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა მხრიდან დაწესებულება მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების კონსოლიდირებულად ჩამოყალიბების შესახებ.</u> ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე, ასევე განხორციელდა ინტერვიურება. აღნიშნულის საფუძველზე, დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის დარგობრივი კომპეტენცია.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. მოდულებში მითითებულია საგანმანათლებლო რესურსი. მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. სასწავლო რესურსი დაწესებულების ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ელექტრონული და ნაბეჭდი სახით. ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მილენიუმის ფარგლებში მათ გადასცეს დამხმარე სახელმძღვანელოები, რომელიც თარგმნეს და იყენებენ სწავლების პროცესში. აღნიშნული დამხმარე ლიტერატურას წარმოადგენს - Assignment brief - შესასრულებელი დავალებების მაგალითები, Lesson plan - გაკვეთილის გეგმა, Unit overview - მოდულის მიმოხილვა, Scheme of work - სამუშაოების სქემა, Student’s Book - სტუდენტის სამუშაო მასალა.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუგუნავა/

PDF Eraser Free

6.პროფესიული სასწავლო პროგრამის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-7 მუხლში (პუნქტი 2) გაწერილია, რომ „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებს, სხვა აპლიკანტების მსგავსად, შეუძლია დარეგისტრირდნენ მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებზე დაშვებაც განსაზღვრულია პროგრამის საგანმანათლებლო სტანდარტის წინაპირობით, რომელთა შორის არ არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “ამწის ოპერირება IV“. აღსანიშნავია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთ-ერთი დაშვების წინაპირობაა - „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა“. აღნიშნული სპეციალობა შედის „მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხის“ ჩამონათვალში (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №147/ნ (2007 წლის 3 მაისი)). აქედან გამომდინარე, კონკრეტულ შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს არ დაჭირდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.

7. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, დაწესებულება ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. მსმენელთა მინიმალური ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 7-ით.

კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 161 412 ლარი და ხარჯების ნაწილში - 161 412 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს - ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებას საათობრივად მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, მივლინებისა და ტრენინგების ხარჯებს, სახარჯი მასალების ხარჯებს, კომუნალური მომსახურების ხარჯებს, ოფისის ხარჯებს (დიპლომების ბეჭდვა და სხვ.) და გაუთვალისწინებელ ხარჯებს.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც წარმოდგენილია დაწესებულების მიერ, აუმჯობესებს ამ ინდიკატორების შეფასებას.

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუგუნავა/

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ამწის ოპერირება IV“. გადაწყვეტილება №.2/5, 2021 წ.
- სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წერილი №19453 (2021 წლის 02 აპრილი).
- „პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი“ , სენატის გადაწყვეტილება №13/12, (27.11.2018წ).
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“ (ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის გადაწყვეტილება N12/5, 24.07.20210).
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. (ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის გადაწყვეტილება N12/4, 24.07.20210).
- სასწავლო გეგმა.
- მემორანდუმები.
- ბიუჯეტი.
- საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ გვერდი.
- ვიზუალური დათვალიერება.
- ინტერვიურება.

შეფასება:

☐შეესაბამება

☑მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუგუნავა/

PDF Eraser Free

2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის საზღვაო აკადემიაში არსებობს „პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის, დაგეგმვის შემუშავების და განვითარების წესი, რომელიც დამტკიცებულია აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის №12/5 გადაწყვეტილებით. დოკუმენტის შინაარსიდან ირკვევა, რომ აღნიშნული პროგრამების შეფასების ეფექტური მექანიზმები ბათუმის საზღვაო აკადემიას საშუალებას მისცემს მოახდინოს სწავლისა და სწავლების ხარიხის გაუმჯობესება, სრულყოს სასწავლო და მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენება, გამოავლინოს პროგრამაში არსებული ხარვეზები, განახორციელოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, ადმინისტრაციის წარმომადგენლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვა. გამოკითხევის ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები გამოიყენოს პროგრამების და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის.

ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ დასამატებელი პროგრამების ფარგლებში ჩატარებული კვლევები გამოყენებულ იქნება ფოთის ფილიალში განხორციელებული პროგრამების სრულყოფისათვის და სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის. ინტერვიურებით ასევე დგინდება, რომ პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების შეფასება ხდება შიდა შეფასების მექანიზმებით, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. გარე მექანიზმებით შეფასებისას

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუგუნავა/

PDF Eraser Free

როგორც სპეციფიკური დარგი შეფასებაში მონაწილეობას ღებულობს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო და სასერტიფიკაციო ორგანოები.

<u>პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.</u>

2.„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესის“ მე-2 მუხლში განსაზღვრულია პროგრამის შემუშავების პროცედურები. დოკუმენტში გაწერილია, რომ პროგრამის შემუშავებისა და ცვლილებების შეტანის მიზნებისთვის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან - განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და პოტენციური დამსაქმებლები. <u>სამუშაო ჯგუფის მუშაობას კოორდინირებას უწევს პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხზე პასუხისმგებელი პირი</u>. დოკუმენტის მე-4 და მე-5 მუხლში მოცემულია პროგრამაში ცვლილებების განხორციელებისა და პროგრამის გაუქმების პირობები. მე-4 მუხლის მიხედვით, პროგრამაში ცვლილების საფუძვლებია - ხარისხის მექანიზმებით გათვალისწინებული სისტემური შეფასებებით გამოვლენილი მიგნებები, პროგრამის გარე შეფასება, პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარებიდან მიღებული სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ან სხვა დაინტრესებულ პირთა უკუკავშირის მონაცემები და სხვა. დოკუმენტში აღწერილია, რომ ცვლილება განიხილება სამუშაო ჯგუფში და მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსს, რომელიც მიმართავს სენატს. ცვლილებების შესახებ ეცნობება ხარისხის სამსახურს და პროცესში ჩართულ სტრუქტურულ ერთეულებს. სწავლის შედეგების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილების შემთხვევაში, ცვლილება განსახილველად ეგზავნება ხარისხის სამსახურს, საბოლო გადაწყვტილება კი მიიღება სენატის მიერ და წარედგინება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების შემდეგ მასში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ყოველი „სასწავლო სემესტრის“ დაწყებამდე ერთი თვით ადრე.

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

დოკუმენტის მე-5 მუხლის მიხედვით, პროგრამის გაუქმების საფუძველი შესაძლებელია იყოს შეფასების შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეები და რისკები - მატერიალური ან ადამიანური რესურსის სიმცირე, მოთხოვნადობის ნაკლებობა, სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები, მხრადამჭერ პარტნიორებთან თანმშრომლობის შეწყვეტა და სხვ. გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სენატი პროგრამის ხელმძღვანელის ინიცირების და პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის წარდგინებით. ინფორმაციას ავრცელებს იურიდიული სამსახური.

<u>დოკუმენტის მე-7 მუხლი განსაზღვრავს პროგრამის ხარისხის შეფასების მექანიზმებს. განსაზღვრულია პროგრამის შიდა შეფასებაზე უფლებამოსილ პირები/ორგანო: -</u> <u>შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ISO სტანდარტების უზრუნველყოფის სამსახურის აუდიტი. განსაზღვრულია პროგრამის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები:</u>

„7.4.1. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი.
7.4.2. სააუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვება ურთიერთდასწრების გზით.
7.4.3. პროფესიულ სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები.
7.4.4. სასწავლო მასალის მონიტორინგი.
7.4.5. სასწავლო გარემოს მონიტორინგი.
7.4.6. საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, სასწავლო მასალის პერიოდულ შემოწმება.
7.4.7. კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის ანალიზი.
7.4.8. გარე ფაქტორების გათვალისწინება (საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება)“.

დოკუმენტის მე-19 მუხლში განსაზღვრულია შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის მიზანი, შემადგენლობა და ფუნქციები. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის მიზანია პროფესიული პროგრამების წარმატებით დანერგვა, პროცესზე მუდმივი დაკვირვება და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების გატარება. აღნიშნული ჯგუფის შემადგებლობაში შედის შემდეგი სუბიექტები - ცენტრის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, <u>ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი,</u> პროგრამის

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/
ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, პროფესიული განათლების მასწავლებელი თითოეული მიმართულებიდან ან/და დარგის წარმომადგენელი.

<u>**საგანმანათლებლო დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**</u>

<u>ინტერვიურებისას ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტეს, რომ პროგრამის შემუშავებისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შემადგენლობაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის არსებობა ეწინააღმდეგება ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის 4.1.1 (3) ინდიკატორის მოთხოვნას (პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს). დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია გადაიხედოს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესი“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რათა გამოირიცხოს ინტერესთან კონფლიქტის შემცველი მიდგომების არსებობა/შენარჩუნება. ექსპერტების მიერ გარემოება ფასდება როგორც ხარვეზი, ვინაიდან არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საზღვაო აკადემიის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინერვიურება, ხარისხის უზრინველყოფის სამსახურის, სასწავლო უნივერსიტეტის და ფოთის ფილიალის წარმომადგენლებთან.

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

შეფასება:

- ☑ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4.სასწავლოპროცესისორგანიზებადაპროფესიულსტუდენტთაშეფასება

2.4.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. საბაზო პროფესიული კვალიფიკაციისთვის მინიჭებისთვის "ამწის ოპერირება IV" პროგრამის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 76 კრედიტი, 9 პროფესიული მოდული 40 კრედიტის მოცულობით და 2 ზოგადი მოდული 6 კრედიტის რაოდენობით. საშუალო საფეხურის 8 პროფესიულ მოდული 29 კრედიტის რაოდენობით და 2 ზოგადი მოდული 7 კრედიტის

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

რაოდენობით სწავლება-სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობაა წელიწადი და ოთხი თვე. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 76 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 68 კვირა. პროგრამის მოცულობა არაქათულენოვანი სტუდენტებისთვის არის 106 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 108 კვირა. სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია სტუდენტის კვირეული დატვირთვა. აღსანიშნავია, რომ მოდულებს წინაპირობები არ გააჩნია.

პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2.„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აღდგენის წესი (მუხლი 11), სადაც გაწერილია, რომ სტატუსის შეჩერება ხდება 5 წლის ვადით. დოკუმენტის მე-12 მუხლში განსაზღვრულია „პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის“ პირობები. პროფესიული სტუდენტის მობილობა (გარე და შიდა) და მიღებული განათლების აღიარების პირობები. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული მუხლები უნდა გადაიხედოს დაწესებულების მიერ და დაეყრდნოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №198/ნ ბრძანებას. დოკუმენტის მე-13 თავში განსაზღვრულია „პროფესიული სტუდენტის მობილობა (გარე მობილობა და შიდა მობილობა) და მიღებული განათლების აღიარების“ პირობები. მე-14 თავში მოცემულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის“ წესები. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტში არის შემდეგი ჩანაწერი - „თუ საზღვაო აკადემიაში არ ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამა, აღნიშნული პროგრამის გაუქმების გადაწყვეტილების მიღებამდე, აკადემია ვალდებულია პროგრამის ფარგლებში კრედიტების აღიარების თაობაზე **გააფორმოს ხელშეკრულება სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან,** რომელიც ახორციელებს გაუქმებულ ან მასთან თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე პროგრამას და სადაც შესაძლებელია გადავიდეს შეცვლილი/გაუქმებული პროგრამის სტუდენტი მობილობის წესით“. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ჩანაწერი ზღუდავს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის არეალს და რეკომენდირებულია გადაიხედოს დაწესებულების მხრიდან.

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუგუნავა/

PDF Eraser Free

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის საზღვაო აკადემიას აქვს სასწავლო პროცესის ორგანიზების მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად რეაგირებს მათ საჭიროებაზე.

3.„ამწის ოპერირების IV“ პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - ლექცია და დემონსტრირება, საკლასო დისკუსია, მეთოდი ორიენტირებული სასწავლო ოთახზე/სახელოსნოზე. პროგრამისთვის დაწესებულებას შესყიდული აქვს თანამედროვე დანადგარები და აპარატურა, რაც ადასტურებს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას.

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის საზღვაო აკადემიის სენატის №12/5 (24.07.2020წ) გადაწყვეტილებით გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება არამარტო სსსმ პირებისათვის არამედ იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა ტიპის განსხვავებული მოთხოვნები. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ (ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის გადაწყვეტილება N12/5, 24.07.20210) მე-6 მუხლში განსაზღვრულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის“ შემუშავების პირობები. დოკუმენტში გაწერილია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად; ასევე, სტუდენტთა განსხვავებული მოთხოვნების, მათი აკადემიური მომზადების და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით და მორგებული უნდა იყოს სწავლა-სწავლებისა და შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს და სხვ.

გასაუბრების გზით დგინდება, რომ აღნიშნული მიდგომები გამოყენებული იქნება ასევე ფოთის ფილიალში არსებულ პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვისაც.

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუგუნავა/

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. საგანმანათლებლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ შემდეგ კომპანიებთან:

- შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“.
- შპს „ლოჯიტექსი“.
- შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია“.

მემორანდუმებში განსაზღვრულია, რომ კომპანიები (2 კომპანია) ყოველწლიურად უზრუნველყოფენ არაუმეტეს 30-30 პროფესიული სტუდენტის მიღებას, ხოლო ერთი კომპანია - 20 პროფესიული სტუდენტის მიღებას. მემორანდუმი გაფორმებულია უვადოდ. მემორანდუმში გაწერილია, კოლეჯსა და პარტნიორს შორის კოორდინაციის საკითხები. აღსანიშნავია, რომ მემორანდუმში არ არის მოცემული შრომის დაცვისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკითხები. აღნიშნულთან დაკავშირებით გაიწერა რეკომენდაცია.

აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს საწარმოო პრაქტიკას. საგანმანათლებლო დაწესებულებას დაგეგმილი აქვს გარკვეული მოდულების ფარგლებში პრაქტიკული აქტივობების განხორციელება რეალურ სამუშაო გარემოში, რათა პროფესიულ სტუდენტმა შეძლოს რეალურ ამწე-მოწყობილობებზე პრაქტიკული უნარების განმტკიცება. საგანმანათლებლო დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სიმულატორზე აღნიშნული აქტივობების განხორციელება შესაძლებელია.

ექსპერტთა შეფასებით, თანამშრომლობა პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან დასტურდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილ A, B და C გარემოში გათვალისწინებულია უსაფრთხოების პირობები, მათ შორის ელექტროუსაფრთხოების. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო დანადგარების, აღჭურვილობისა და

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

საკონტროლო ვამზომი საშუალებების ხარისხისა და უსაფრთხოების მართვოს ND 2-Q 05-07 დოკუმენტი (დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ 25.08.2012 წ.). 2020 წლის 21 აგვისტოს დამტკიცებულია „შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმა“ - ND 2-007-02. (სენატის №14.2 გადაწყვეტილება). დოკუმენტში გაწერილია საგანმანათლებლო დაწესებულების შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, შრომის უსაფრთხოების სისტემების მართვის შესახებ ინფორმაცია, რისკების შეფასების მეთოდები, სახანძრო უსაფრთხოების წესი და სხვ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დოკუმენტო მოიცავს ყველა იმ საჭირო ინფორმაციას, რომელსაც ავალდებულებს საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“. ინტერვიურება განხორციელდა შრომის უსაფრთხოების მენეჯერთან, რომელმაც ზუსტად აღწერა ის მიდგომები და პროცესები, რომელსაც ახორციელებს უსაფრთხოების მიმართულებით. აღინიშნა, რომ ერთი უსაფრთხოების სერთიფიცირებული სპეციალისტი გამოყოფილია ფოთის ფილიალში.

პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელთან ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ კომპანიის გარემოში დაცულია უსაფრთხოების პირობები ეროვნული ნორმების შესაბამისად. კომპანიას ყავს უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც იზრუნებს პროფესიული სტუდენტის უსაფრთხოებაზე. ჩაუტარებს მათ ინსტრუქტაჟს და შეამოწმებს, თუ რამდენად სწორად გამოიყენებენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს.

ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ამწის ოპერირება IV“. გადაწყვეტილება №.2/5, 2021 წ.
- საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ გვერდი.
- ვიზუალური დათვალიერება.
- ინტერვიურება.
- სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წერილი №19453 (2021 წლის 02 აპრილი).

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

- „პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი“ , სენატის გადაწყვეტილება №13/12, (27.11.2018წ).
- სასწავლო გეგმა.
- მემორანდუმები.

შეფასება:

☑ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-9 მუხლი ეხება „პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციას“. აღნიშნული მუხლის ჩანაწერები ნაწილობრივ ფარავს შეფასების სისტემისადმი სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რაც მოიაზრებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ და შინაარსობრივ შემოწმებას, შეფასების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის განმარტებას. აღსანიშნავია, რომ მოცემული მუხლი შეიცავს ვერიფიკაციის პროცესისთვის შეუსაბამო დებულებებს. კერძოდ: - „შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებამდე“, „შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

<u>მხარდაჭერის ჯგუფი პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხზე პასუხისმგებელი პირის კოორდინაციით“ და სხვ. ინტერვიურებსას გამოიკვეთა ვალიდაციისა და ვერიფიკაციის ტერმინებისა და ტერმინების ქვეშ მოაზრებული პროცესების თანაკვეთა. **ექსპერტთა მიერ აღნიშნული საკითხი შეფასდა როგორც ხარვეზი. აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა მიერ დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია ვალიდაციისა და ვერიფიკაციის იმგვარი მექანიზმის შემუშავების შესახებ, რომელიც მკაფიოდ ასახავს პროცესებს, პასუხისმგებელ პირებს, განმახორციელებლებს, ვერიფიკაციის შედეგების განხილვისა და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის პრინციპებს.**</u>

2.სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი -- ბათუმის საზღვაო აკადემიაში პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის ძირითადი საკითხები რეგულირდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად (სენატის გადაწყვეტილება №12/4 24.07.2020წ) აღნიშნული დოკუმენტის მე-8 მუხლში გაწერილი არის შეფასების ეტაპები, შეფასების სახეები, შემფასებელი პირის ვალდებულებები, სწავლის შედეგების შეფასების პროცესი, პროფესიული სტუდენტის უფლებები. ასევე განსაზღვრულია მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები და შენახვის ვადები. აღნიშნული მუხლის მიხედვით, „პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, აითვისოს წინმსწრები მოდული მომდევნო მოდულის დაწყებამდე ან აითვისოს ორივე მოდული (წინმსწრები და მომდევნო) პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების ათვისების შემდეგ მომდევნო ჯგუფთან“. აღნიშნული ჩანაწერი არ არის გამჭვირვალე, არ იძლევა მკაფიო განმარტებას პროფესიული სტუდენტის მიერ წინმსწრები მოდულის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში განმეორებითი შეფასების უფლებით სარგებლობის შესახებ. საჭიროა რეგულაცია მოიცავდეს ზუსტ, მკაფიო და გამჭვირვალე ჩანაწერებს პროფესიულ სტუდენტს განმეორებით შეფასებაზე გასვლის ვადების, რაოდენობისა და პირობების შესახებ.

დოკუმენტის მე-10 მუხლი ეხება „სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებას და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/შედეგის აღდგენას“. დაწესებულების მიერ განსაზღვრული ვადები შეფასების გასაჩივრების მიზნებისთვის

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

არასრულია. ცდომილებით არის დადგენილი განმახორციელებლის მიერ შეფასების შედეგების ადმინისტრაციისათვის მიწოდების ვადა - არანაკლებ 3 სამუშაო დღე. არ არის მითითებული პროფესიული სტუდენტებისათვის შემფასებლის მიერ შეფასების შედეგების გაცნობის ვადები. დოკუმენტში მითითებულია, რომ პროფესიულ სტუდენტს გასაჩივრების შესაძლებლობა აქვს არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა. დოკუმენტში ვერ დგინდება საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვადები. <u>დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის შეფასების გასაჩივრების ნაწილში დააზუსტოს ჩანაწერები სხვადასხვა შემხვედრი საჭიროების გათვალისწინებით, განსაზღვროს პროცედურები გონივრული ვადების მითითებით.</u>

<u>**პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ნაწილობრივ ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**</u>

3.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 თავის მე-14 და მე-16 პუნქტებით რეგულირდება სწავლის შედეგების დამადასტურებელი უწყისის და მტკიცებულებების შენახვის ვადები, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან. <u>კერძოდ უწყისი ინახება უვადოდ, ხოლო მტკიცებულებები და სტუდენტის პორტფოლიო კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით.</u>

<u>ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვა ინდიკატორით გათვალისწინებული ვადით.</u>

4.შეფასების შედეგების გაცნობის მექანიზმების არსებობის შესწავლის მიზნით შემოწმდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. <u>აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელ დოკუმენტებში არ არის ჩანაწერი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.</u> გასაუბრება განხორციელდა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. გასაუბრების დროს აღინიშნა,, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასების დასრულების შემდეგ ხდება მათი იფორმირება სხვადასხვა გზით - ჯგუფურად ელექტრონული სერვისების გამოყენებით, ინდივიდუალურად საკონტაქტო ტელეფონზე დაკავშირებით და ასევე მეცადინეობების დროს. პროფესიული მომზადების ცენტრის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუბუნავა/

PDF Eraser Free

დაწესებულება ახორციელებს სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას. კერძოდ - ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა რაოდენობრივი მაჩვენებლის შედარებას, გადინების მიზეზების დადგენას და ამ გზით პროგრამებში ცვლილებების შეტანის საჭიროებების განხილვას.

<u>პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.</u>

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც წარმოდგენილია დაწესებულების მიერ, აუმჯობესებს ამ ინდიკატორების შეფასებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულერებელი წესი (სენატის გადაწყვეტილება №12/4 24.07.2020წ);
- ინტერვიურება;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☑მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება☑
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება☐

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/
ნ. ბუბუნავა /ბუგუნავა/

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	-

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. გასაუბრების განრიგი

დანართი 2. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

თარიღი: 21/05/2021/წ

(ქ. ფოთი . 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა / ფრიდონ გოგიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: /ირმა ღარიბაშვილი/

ნ. ბუბუნავა /ბუგუნავა/